წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. სამშაბათი, 25 აგვისტო 1915 წ. № 77

# საქართველო

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

## „საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 აგვისტოდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

## „ხარფუხის კლუბი“

საზაფხულო სადგომი, მიხეილის პროსპექტი, № 131.

**ერთი კვირის პროგრამა 25—30 აგვისტომდე**

**სამშაბათი** 25 აგვისტო. **სინემატოგრაფი** ბაღში **დაუკრავს ორკესტრი.**

**ოთხშაბათი** 26 აგვისტო. **ქართული წარმოდგენა,** ბაღში **დაუკრავს ორკესტრი, შესვლა უფასოა.**

**ხუთშაბათი** 27 აგვისტო. **საბავშო საღამო-სეირნობა სინემატოგრაფით, ცეკვით და ორკესტრით.** დიდებისთვის გაიმართება უკანასკნელი კონცერტი არტისტი **ი. პ. სარაჯიშვილისა;** მონაწილეობით: საიმპერატორო თეატრების არტისტი-მომღერალი **ი. თამამშევიჩის** და სოლისტი-ვიონჩელისტი **ე. ნ. კაპელნიცკის.**

**შესვლა კონცერტზე უფასოა**

**პარასკევი** 22 აგვისტო. როგორც დიდი დღესასწაულის წინა დღე, არავითარი გასართობები არ იქნება.

**შაბათი 29 აგვისტო.** დღესასწაულის გამო გასართობები არ იქნება.

**კვირას 30 აგვისტო. ბაღში დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი.**

სინემატოგრაფის დასაწყისი საღამოს 8½ საათზე, წარმოდგენის 9 საათზე. საბავშო საღამოს 5—9 საათამდე სტუმრები კლუბში შესასვლელად იხდიან ჩვეულებრივ ფასს.

## თბილისის ნოტარიუსი
## გ. ლ. მაჭავარიანი

**სურამში ნამყოფი**

**ხსნის კონტორას 27-ს ამ აგვისტოს ერევნის მოედანზე № 3, ვაჭრების ბანკის შენობაში**

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**

იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.

ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებური საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.

სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღვინი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი
## სასადილო
## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.

**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი** 2, 3 და 4 თავიანი. აგრეთვე ჩვენებური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**გადაწერას საწერ მანქანის**

**საშვალებით და საწერ მანქანაზე**

**მუშაობის სწავლებას**

**ხელმისაწდომ ფასებში ჰკისრულობს**

## ი. თ. გვათუას კანტორა

**ვერის დაღმართი № 1**

ტელეფონი 17—05

კბილის ექიმი

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**ქ. გორში**

**ექიმი** ნ. შ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### სამხედრო სამზადისი რუმინიის საზღვრებზე.

ბუქარესტიდან იტყობინებიან, რომ ამ უკანასკნელ ჟამს ავსტრიის საზღვრებზე სამხედრო სამზადისი იმდენად სერბიის წინააღმდეგ არ არის მიმართული, რამდენადაც რუმინიისკენ. როგორც გადმოგვცემენ, სასაზღვრო ადგილები დაჭერილია ავსტრო-გერმანელთა ჯარებით. ადგილობრივი მცხოვრებნი, თვით დედაკაცებიც კი, განუწყვეტლივ მუშაობენ სანგრების ასაგებად. ყველა ეს ისე საიდუმლოდ ჰხდება, რომ მგზავრებს არ უშვებენ. მატარებლებში ფარდები ჩამოფარებული აქვთ, ყველასა სჩხრეკენ. ფანჯრებში გახედვა აღკრძალულია. ამასთანავე ჯართა არაჩვეულებრივი მოძრაობაა. მოსულნი ამბობენ, რომ რუმინელები ყოველ მოსალოდნელისთვის უნდა მზად იყვნენ. ავსტრო-გერმანელებს ბუკოვინაში 2 კორპუსი დაუყენებიათ, ყოველი სამზადისი მორჩომილია და ეხლა ელიან, რომ ოსმალეთისკენ გაიჭრნენ... კონსტალცში გერმანელი აგენტები მოვიდნენ და ოსმალეთში ჰგზავნიან 600 ათას კილოგრამა სპილენძს. ბ. ვ.

### კოვნოს ახალი კომენდანტი.

ბერლინის გაზეთებს [illegible] ატყობინებენ, რომ კოვნოს კომენდანტად [illegible] დანიშნეს გენერალ-ლეიტენანტი ფონ. კოხი იგი ომის დაწყებამდინ პოზნანის გუბერნატორის თანამდებობას ასრულებდა. შემდეგ აღმოსავლეთ ფრონტზე მიიღო ომში მონაწილეობა და დიდი ნიჭი გამოიჩინა საადმინისტრაციო განკარგულებაში. დაჯილდოვებულია პირველი ხარისხის „რკინის ჯვრით“. ბ. ვ.

### ბელგიაში ახალი ფულის შექმნა.

ბელგიის სამხედრო გენერალ-გუბერნატორმა ფონ-ბისსინგმა უბრძანა ახალი ფული ნიკელის ნაცვლად მოსჭრან ცინკისაგან. ამ ახალს ფულზე ერთი მხრით დახატული იქნება ბელგიის ემბლემა ლომი და მეორე მხრით ორს ენაზე წარწერა: „ბელგია“. ფული 5 ფრ. ზემოდ არ მოიჭრება. ბ. ვ.

### ლუვენის უნივერსიტეტი.

გერმანთა ჯარის გამანადგურებელ ტალღამ ლუვენსაც გადაურბინა, ბელგიის ტერიტორიაზედ ბრძოლის პირველ ხანებში. კათოლიკეთა ეს განთქმული უნივერსიტეტი, სადაც ბევრი ბრწყინვალე მეცნიერი მკვლევარი მუშაობდა. მიილეწ-მოილეწა და გაუქმდა. კარდინალი მერსიე Maasbade“-ში აცხადებს ოფიციალად, უკეთუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ლუვენის უნივერსიტეტი მომავალ ოქტომბრიდან მუშაობის განახლებას ვერ შესძლებსო. მრავალმა დაწესებულებამ და კერძო პირმა აღუთქვეს დიდძალი ფულის შემოწირვა ლუვენის უნივერსიტეტისთვის ახალი ბიბლიოთეკის მოსაწყობად. (Figaro)

### ამერიკელები და ომი.

დღევანდელმა ომმა თვალები აუხილა ამერიკას და სამხედრო ძალის მოგვარებაზედ ზრუნვა დააწყებინა. ვინც წინ და წინვე გაფრთხილებულია. ის აცრილიც არის გადამდებ სენის წინააღმდეგო, ამბობენ ხშირად ამერიკაში. შეერთებული შტატების პრეზიდენტი ვილსონი საჭიროდ სთვლის საბოლოო, გარკვეული პროგრამა იქმნას შემუშავებული ქვეყნის თავდაცვის მოსაგვარებლად. პრეზიდენტი ყოველ ღონეს ხმარობს რომ ამ თავითვე შეთანხმების ნიადაგი შეამზადოს მომავალ კონგრესზე ამ პროგრამის მისაღებად და ამით თავიდან აიცილოს ამერიკას უსარგებლო შეკამათება და ერთმანეთის შეხლა-შემოხლა ამ უდავო საკითხის გარშემო. შტატების პრეზიდენტს მოლაპარაკება აქვს გამართული ფლოტისა და ხმელეთის ჯარის უფროსებთან იმის თაობაზე, თუ რანაირი ზომების მიღება იქნება საჭირო ამ თვითვე. ვილსონი მილიტარიზმის წინააღმდეგია, მაგრამ დღევანდელი ამბები ნათლად ამტკიცებენ რომ უსამხედრო ძალით ყოვლად შეუძლებელია ქვეყნის ეკონომიური და კომერციული ძლიერების დაცვა და გარეთ განმტკიცება. ადრე თეოდორე რუზველტი, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი, სწორედ ამ მოსაზრებით მოითხოვდა შესაფერ სამხედრო ძალის შექმნას ამერიკისათვის. თუ ამ ჭკვიანი ადამიანის აზრი მაშინ გააწბილა ამერიკის დემოკრატიულმა ჟინმა, დღეს რუზველტის აზრის ცხოვრებაში გატარება მორიგ საკითხად წამოაყენა ცხოვრებამ.

(Figaro)

—

„რუსკ. სლოვ.“ კოპენჰაგენიდან ატყობინებენ, რომ ბერლინში, კიოლნში და ლაიპციგში შესდგა კავშირები, რომელთა მიზანი ეკონომიური დაახლოვებაა გერმანიის რუსეთთან. ეს პარადოქსული მოვლენაა, მაგრამ გერმანელები მაინც მუშაობენ ამ მხრივ დარწმუნებულიც არიან, რომ ახლო მომავალში ზავი ჩამოვარდება რუსეთ-გერმანეთს შორის.

—

„რუსკ. სლოვ.“ პეტროგრადიდან ატყობინებენ: მინისტრ პრეზიოენტის ადგილი პოლივანოვს შესთავაზეს.

### რომის პაპის ახალი ნაბიჯი.

„Dailu Telegraph“-ს კორესპონდენტი სწერს ფრანგულ გაზეთ „Maten“-ს: კერძო წყაროდან მიღებული ცნობები ნებას მაძლევს ვსთქვა, რომ ის საბუთის ქაღალდი, რომელსაც ეხლა პაპი ამზადებს, უფრო გადაჭრილი და ნათელი იქნება ვიდრე წინანდელი. პაპი ნეიტრალ ქვეყნებს თანამშრომლობას სთხოვს, რომ საერთო ძალით ეცადონ მშვიდობიანობის დამყარებას. ზოგმა მონარქმა კიდეცა უპასუხეს რომის პაპას. პასუხები დაიბეჭდა „Osservatore rumano“-ში. ერთმა მაღალმა საეკლესიო პირმა გადმომცა, პაპის ჩარევა ამ საქმეში ნაადრევი არ იქნება. ომმა ყველა მოქანცა და გამოფიტა. მებრძოლნი ხალისით გაიგონებენ ზავის ჩამოგდების შესახებ ამოღებულ ხმას. რომის პაპმა სწორედ მოხდენილი დრო აირჩია ზავის სასარგებლოდ მოლაპარაკების გასამართავადო.

„Maten“

### გერმანები ფლანდრიაში.

გერმანები დიდის ენერგიით მუშაობენ ფლანდრიაში საზამთრო შენობების ასაგებად. ააგეს ერთი უზარმაზარი, ლითონის კრამიტით გადახურული სადგომი, რომელიც 200,000 კაცზე მეტს იტევს. (Figaro).

### საათის წარმოება შვეიცარიაში.

ამ ომის წლის განმავლობაში შვეიცარიიდან ჩვეულებრივზე სამოცდა ორი მილიონით ნაკლებ ღირებულების საათი გაუგზავნიათ უცხოეთში. საერთოდ შვეიცარიიდან ამ ომის განმავლობაში ჩვეულებრივზე ას ოთხმოცდა ათ მილიონით ნაკლები გაუზიდნიათ. აქედან საათის წარმოებას ერთი მესამედი უწევს.

(Figaro).

### ავსტრია-გერმანია და რუმინია.

გერმანიის წყაროების მიხედვით, სოფიის გაზეთები იუწყებიან, ავსტრიის მიერ რუმინიის საზღვრების დაკეტვა იმიტომ მოხდა, რომ რუმინიამ შეთანხმება დასდო რუსეთ-საფრანგეთ-ინგლისისათვის.

—

ავსტრიის ორი ჰაეროპლანი ტურნსევარინზედ გამოჩნდა, ქვევიდან თოფზარბაზანი დაუშინეს და ჰაეროპლანები მიიმალნენ.

### ბულგარეთისა და ოსმალეთის შეთანხმების მნიშვნელობა.

ბერლინის გაზეთმა „Lokal Anzeiger“-მა საპატიო ადგილზედ მოათავსა ბულგარელი ოფიციალი პირის ნათქვამი:

„ეს პოლიტიკური ნაბიჯი სამის მხრივ არის საყურადღებო მნიშვნელოვანი. პირველი იმ მხრივ, რომ ბალკანეთის სახელმწიფოთა შორის ყველაზედ უფრო ძლიერი დარწმუნებულია, რომ საბოლოო გამარჯვება ავსტრია-გერმანიას შერჩება; მეორედ იმ მხრივ, რომ ოსმალეთთან შეთანხმება აშკარად მოწმობს, რომ ბულგარეთს არც ერთი ბალკანეთის სახელმწიფოსი არ ეშინია; და მესამედ იმ მხრივ, რომ სოფიის პოლიტიკურ წრეებში მეფობს ის აზრი, რომ ომის დასასრული მოახლოვებულია.

### საქსონიის მეფე დაპყრობილ პოლონეთში.

ლეიპციგის გაზეთების სიტყვით საქსონიის მეფემ ინახულა ივანგოროდი, სადაც საუბარი ჰქონდა ჯარის სარდალ გენერალ ვოიერმთან. ივანგოროდში მეფემ ერთი დღე დაჰყო, რის შემდეგ ვარშავას გაემგზავრა. აღმოსავლეთის ფრონტზე მეფეს განზრახვა აქვს მეტ ხანს დაჰყოს, რადგანაც ფრონტის სამხრეთის ნაწილიდან მას სურს ჩრდილოეთის ნაწილში გაემგზავროს და შემდეგ ინახულოს ფელდმარშალ ჰინდენბურგის მთავარი სადგომი. (ბ. ვ.)

### ბულგარეთის სამხედრო ატაშე ვარშავაში.

ბულგარეთის სამხედრო ატაშე ბერლინში, ბ-ნი ტოჩევი, როგორც გერმანეთის გაზეთებს აუწყებენ აღმოსავლეთის ფრონტის მთავარ შტაბისაგან, ამ ჟამად ვარშავაში იმყოფება. მის მაგიერ ბულგარეთმა სამხედრო ატაშედ ბერლინში დანიშნა ბ-ნი განჩევი, გენერალი შტაბის პოდპოლკოვნიკი.

### შეთანხმების სახელმწიფონი და რუმინია.

Journal de Genève“ იუწყება შეთანხმების სახელმწიფოებმა რუმინიას დაუთმეს მთელი ის მიწა წყალი, რომელიც მდებარეობს მდ. დუნაისა და მდ. პრუტს შორის.

—

დასჯილმა დეპუტატებმა სოციალ-დემოკრატებმა გადასწყვიტეს შუამდგომლობა არ აღძრან პატიების შესახებ. ეხლა სხვა საშვალებას მიმართვენ. პატიების თხოვნას სათათბიროს სახელით მიართმევენ როძიანკოს. იმედოვნებენ ამ გზით მიზანს მიაღწიონ. (რ. ს.)

—

„რუსკ. ვედომ.“ სარატოვიდან ატყობინებენ: ადგილობრივ ქალაქის საბჭოს ზოგიერთ ხმოსნებმა განაცხადეს, საჭიროა დაუყონებლივ მთავრობას ჩამოშორდეს ისეთი პირები, რომლებმაც რუსეთი ამ უბედურებამდე მიიყვანესო: მიუხედავად ამისა სახელმწიფო საბჭოს სურვილები განუხორციელებელი რჩება, ამნისტიას არ აცხადებენ და სახელმწიფო საბჭოსაც დათხოვნას უპირებეს; ეს კი აღელვებს მასას! აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა სახელმწიფო სათათბიროსი მთავრობასთან ერთად.

—

„რუსკ. ვედ.“-ს ატყობინებენ, რომ ოსმალები სწმენდენ იმ ტერიტორიას, რომელიც ბულგარეთს დაუთმეს და მარიტაზე ციხეებს ანგრევენო.

—

ნიუიორკიდან იუწყებიან: ჩინეთის მთავრობამ „Bethlehen eseel vorks“-ის ქარხანას შეუკვეთა მრავალი წყალქვეშა, წყალქვეშები უნდა იქნეს საუკეთესოდ გაკეთებული და ბევრად სჯობდეს იმ წყალქვეშებს, რომელსაც ეხლა გერმანია ხმარობს!

—

მთავრობა, პრესა და ბანკები დიდ აგიტაციას ეწევიან, და იწვევენ გერმა-

...ნიის ხალხს ხელი მოაწერონ ახალ სესხს.

პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ბებელმა წერილობით აცნობა შემნახველ კასებს, რომ ყოველი ღონე იღონონ, რათა სოფლის ხალხმა მიიღონ ფართე მონაწილეობა სესხის ხელის მოწერაში. თავის ცირკულიარში ბებელი სხვათა შორის სწერს:

— საბოლოო გამარჯვებამდინ ჯერ კიდევ არ მიგვიხწევია. მოგველის ახალი საზამთრო კამპანია. ჯარის შენახვა თხოულობს აუარებელ ფულს. ასეთი წერილები დაუგზავნეს ყველა სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს, სკოლებს და სხვა.

# შტაბის დეპეშები

**თბილისი**, 23 ავგისტო. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. რუსის ერთმა მოტორიანმა ნავმა 21 ავგისტოს ზღვის სანაპირო რაიონში დაიჭირა ოსმალეთის ორი იალქნიანი ნავი საკვები სურსათით დატვირთული. დაატყვევა ორივე ნავის შეიარაღებული კომანდა. ოლთისის მიმართულებით კანტი-კუნტი სროლაა. მელიაზგერთის მიმართულებით სოფლებ ოლხაზასა და სულიკოს შორის შეჯახება მოუხდათ რუსის მზვერავებს ოსმალოს ცხენოსანთა რაზმთან. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 22 ავგ. ოფიციალი. რიგის რაიონში არსებითი ცვლილება არ მომხდარა. სოფელ ლინდენთან რუსის ჯარები კვლავ მარცხენა ნაპირზე გადმოვიდნენ და გერმანელებს შეუტიეს. მკაცრი ბრძოლა ჯერაც არ შეწყვეტილა. ფრიდრიხშტადტთან გერმანელთა ძლიერი ცეცხლის გამო რუსები იძულებულნი გახდნენ 21 ავგ. მარჯვენა ნაპირზე გადასულიყვნენ. აგრეთვე იგივე გერმანელები სცდილობენ ფრიდრიხშტადტის სამხრეთ-აღმოსავლეთით წაწევას, რათა იაკობშტადტისკენ მიმავალი რკინის გზა გადუჭრან რუსებს. სვენტისა და ვილიის შუა ბრძოლა გრძელდება. ვილიისა და ნემანის შუა ფრონტზე გერმანელები აწვებიან რუსებს, განსაკუთრებით 21 ავგ. დაბა მეჩთან მათ ბლომად მოუყარეს თავი ჯარებს. გროდნოსთან 21 ავგ. კვლავ ცხარე ბრძოლა განახლდა. რუსის ჯარები შეიჭრნენ ქალაქში და ტყვედ წამოიყვანეს 150 კაცამდე, დავლად დარჩათ 8 ტყვიისმფრქვეველი. ამ გამარჯვებით რუსებმა უკანა ჯარებს საშუალება მისცეს დაუბრკოლებლივ დაეხიათ, რადგანაც საზოგადო ფრონტზე მეტად წინ იყვნენ წამოსულნი. გროდნოდან მოყოლებული სამხრეთით მდ. იასილდის ზემო ტოტამდე 20—21 ავგ. მხოლოდ საარიერგარდო ბრძოლა იყო, რომ გერმანელთა იერიში შეეკავებინათ. სტირის მარჯვენა ნაპირზე დერჟანო-ოლიკ-მლინოვის ფრონტზე რუსებმა მოწინააღმდეგეთა იერიშებს იერიშითვე უპასუხეს და უკუაგდეს კიდეც. რაძივალოვთან გერმანელთა ცდამ რომ იერიშით წამოსულიყვნენ ამაოდ ჩაიარა. გალიციაში მდ. სერეტის რაიონში მხოლოდ წვრილ-წვრილი ბრძოლა ხდება. საზოგადოდ 20—21 ავგ. განმავლობაში რუსებმა დერჟანოს ფრონტიდან დნესტრამდე 60 აფიცერი და 3,500 ჯარისკაცამდე წამოიყვანეს. დავლად რამდენიმე ტყვიისმფრქვეველი დარჩათ. დნესტრზე ზალეშჩიკის რაიონში 20—21 ავგ. გერმანელებს მოჰქონდათ მთელი რიგი იერიშებისა. ბრძოლა გრძელდება. მიღებულ მოხსენებიდან სჩანს, რომ 17 ავგ. სტრიპზე კოზოვო-ტარნოპოლის რაიონში რკინის გზაზე რუსთა გამარჯვებისთვის დიდად შეუწყვიათ ხელი ჯავშნიან ავტომობილებს „პობედას“ და „პილკიხ“, რომელთაც თავიანთ თავი გაწირულებით გერმანელთა ჯარები დიდი აურ-ზაური გამოიწვიეს და დიდი ზარალიც მიაყენეს.

**პეტროგრადი**, 23 ავგისტო. ოფიციალი. რიგის ყურეში გერმანელთა მზვერავი ჰიდროჰაეროპლანები 21—22 ავგ. არა ერთხელ გამოჩნდნენ და ირბენიას ყელთან დატრიალდნენ და რუსთა ნაღმოსნებს ყუმბარები დაუშინეს. ნაღმოსნები ზარბაზნის ცეცხლით ჰრეკავდნენ მათ. მდ. დვინის მარცხენა ნაპირზე გერმანელებმა დიდძალი ჯარები მოიშველეს და ფრიდრიხშტადტისკენ გამოქანდნენ. ძალთა უთანხმოების გამო წინა დღით სოფელ ლინდენთან გადასულმა რუსის ჯარებმა 21 ავგისტ. ისევ უკან იბრუნეს პირი და მარჯვენა ნაპირზე გადმოვიდნენ. მოსულ ამბებიდან გამოირკვა, რომ ფრიდრიხშტადტიდან ბრძოლის დროს იმავე დღეს რუსთა ჯარებმა ივლტეს და უკან დაიწიეს, რადგანაც გერმანელთა ზარბაზნებმა დვინაზე ხიდს ცეცხლი წაუკიდეს და იაკობშტადტისკენ გერმანელები მხოლოდ იმითი კმაყოფილდებოდნენ, რომ რუსების იერიშებს იგერიებდნენ. ვილნაზე გერმანელები თავიანთ პოზიციებიდან არ დაძრულან. დ. ორანის რაიონში რუსის ჯარებმა 21 ავგ. სოფ. სმალნიკიდან გამორეკეს გერმანელები და 200 ჯარისკაცამდე დიატყვევეს რამდენიმე აფიცრითურთ. მდ. მერეჩანკის ქვემო ტოტზე 21 ავგ. რუსებს მეტად მძიმე პირობებში მოუხდათ ბრძოლის ქარცეცხლის გადატანა. გერმანელები მათ ემუქრებოდნენ გროდნოს რაიონისკენ დასახევ გზის მოჭრას. გროდნოს ზემოდ ნემანის ფრონტზე და მდ. იასელდამდე კარტუზსკი ბერიოზასთან რუსის ჯარები მარჯვედ იგერებდნენ გერმანელთა იერიშებს, მიუხედავად ამისა 22 ავგ. გერმანელებმა მოახერხეს მათი შევიწროება, რის გამოც ამ უკანასკნელებმა ვოლკოვისკენ დაიხიეს. გორინისა და სტირას შუა. გერმანელებმა შესამჩნევად მოიკრიბეს ძალა და 22 ავგ. დუბნო-როვნოსკენ წამოვიდნენ იერიშებით. სტირის მარჯვეა ნაპირზე, დუბინის ბალების ჩრდილოეთით, ბრძოლა გაჩაღდა. გალიციაში მდ. სერეცზე მკაცრი ბრძოლა დაიწყო ტრანოპოლისა, ტლუსტესა და მდ. სერეტის პირის რაიონში დნესტრის ორივე ნაპირზე. ტლუსტეზე, მიუხედავად იმისა,—რომ გერმანელთ მაშველი ჯარი მოუვიდათ, რუსებმა მაინც შესძლეს მათი იერიშების შეჩერება, ბოლოს იერიშითაც კი უპასუხეს. ტყვედ 300 კაცამდე წამოიყვანეს აფიცრებითურთ. ბრძოლა გრძელდება.

შავს ზღვაში რუსთა ნაღმოსნები „პრონზიტელნი“ და „ბისტრი“ პირველ რანგის კაპიტან თავ, ტრუბეცკოის ხელმძღვანელობით დაბა ზუნგულდაკის მახლობლად შეებრძოლა ოსმალთა კრეისერ „ჰამიდიეს“ და ორს მათს ნაღმოსანს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ოსმალთა გემები გაიქცნენ ბოსფორისკენ. ქვანახშირით დატვირთული 4 ხომალდი დაიღუპა რუსების მიერ.

## პურის ძებნაში

ბოლოს და ბოლოს ჩვენი ქვეყნის უკიდურესი დამშევა ყველამ იცნო. საქართველოს ყოველ კუთხიდან აუარებელი წერილი მოსდის ქართულ რედაქციებს. კორესპონდენტები, თითქოს ერთი მეორეს იმეორებენო, ერთნაირის სიტყვებით აგვიწერენ სიმშილობის მსხვერპლთა აუტანელ ტანჯვას. ამგვარივე წერილები მოსდის ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელმაც მიიქცია საზოგადო ყურადღება და რომლისაგან შველა-დახმარებას მოელის ყოველი დაზარალებული და დამშეული კუთხე ჩვენი*) ქვეყნისა. თბილისს ჩამოდიან საგანგებოდ გამოგზავნილი წარმომადგენლებიც და აქაურ ქართულ საზოგადოებებს თუ დაწესებულებებს შველას თხოვენ. ასე მაგალითად, ამ ორი თვის წინად ზუგდიდის მაზრიდან წარმომადგენლები ჩამოვიდნენ საგანგებოდ ქარო. საქველმოქმედო საზოგადოებასთან მოსალაპარაკებლად. ორიოდე კვირის წინად ზუგდიდის მაზრამ თხოვნით მიმართა იმავ საქველმოქმედო საზოგადოებას, გვიშველეთ აგრონომებით, სათესლე და საკვებ სიმინდის მოწოდებითო. დღესაც აქ არიან სამეგრელოდან ჩამოსული კაცები პირველ საჭიროების სიმინდის საშოვნელად. „საქართველოს“ რედაქციის დავალებით ერთი მისი თანამშრომელი საგანგებოთ იყო გაგზავნილი ქართლში, წლევანდელი ჭირნახულის შესახებ ცნობების შესაკრებად. მისმა მოგზაურობამ ქართლის სოფლები მეტად უნუგეშო ამბები ჩამოიტანა. ისეთ სოფლებშიაც-კი, რომლებიც ჩვეულებრივ დროს ქართლის ბეღლებად ითვლებოდენ, დღეს სამყოფი ჭირნახულიც არ მოსულა. ერთი სიტყვით მთელს საქართველოში, როგორც ამერეთში ისე იმერეთში ერთნაირი მდგომარეობაა. უბედურება და გასაჭირი ლოკალური კი არ არის, არამედ ზოგადია, საერთო.

ამის ძალით ყველგან ერთგვარი წრიალია, შფოთი, და აქეთ იქით წყვეტება; კუთხე-კუთხე დაეძებენ ყოველგან გამოსავალ გზას და ყველას თვალ-ყური საქართველოს ცენტრისაკენ. დედა-ქალაქისაკენ უჭირავს. გაიმართა სიმპტომატიური ძებნა, ფსიხოლოგიური აუცილებლობის კანონით გამოწვეული, ერთი ცენტრალი ეროვნული ორგანიიზაციისა, რომელიც დამშეულ საქართველოს არსობის პურს მიაწვდიდეს და ქვეყანას ფიზიკურ გადაშენებისაგან დაიხსნიდეს. უნდა გამოტეხით ითქვას, ვერც ქართველმა ინტელიგენციამ და ვერც ქართულმა დაწესებულებებმა და საზოგადოებებმა ფეხი და საქმიანობა ვერ გამოიჩინეს, რომ ჯეროვანად გამოეყენებინათ მთელი ქართველი ხალხის ერთნაირი სულისკვეთება, საარსებო საკითხის გარშემო დატრიალებული, და რომ მჭიდრო ეროვნულ შედუღებისა და გაერთიანების პროცესი თავის ბუნებრივ დასკვნამდე მიეყვანათ! მაგრამ მოვლენილი განსაცდელი ეგ ზომ მწვავეა და საგრძნობელი, მისი გაბათილება ეგზომ საშური და გადაუდები, რომ ყოვლად შეუძლებელია არ დაიძლიოს ქართველი ინტელიგენციის ინერტობა, უნებისყოფობა, შეუძლებელია არ დაიძლიოს ქართველ დაწესებულებათა და საზოგადოებათა დაუდევარი ხასიათი და ყველა ერთ კაცივით ფეხზე არ წამოიჭრას ამ საერთო უბედურებაზე პასუხის გასაცემად! ამის სასიხარულო ნიშნები კანტი-კუნტად მოსჩანან კიდეც.

შეერთებულა სიღნაღი, თელავი, ანაგა, კარდანახი, გურჯაანი, წინანდალი, აწყური, ყვარელი, შილდა და სხვა, აურჩევიათ თავიანთ რწმუნებულად ბ-ნი დ. ლუკაშვილი, თელავის შემნახველ-გამსესხებელ ბან[illegible] გამგეობის თავმჯდომარე, და [illegible] გაუგზავნიათ ფქვილის საყიდლად. ამ საქმის საწარმოებლად ბ. დ. ლუკაშვილს ხსენებული ბანკისა მიაქვს სამოცი ათასი მანეთი და ასი ათასი მანეთი მოსკოვის სახალხო ბანკისა, საიდანაც ეს ფული სესხად გამოუტანია. მეტად სასიამოვნო და წასაქეზებელ მაგალითად უნდა ჩაითვალოს კერძო თაოსნობით ასეთი პრაქტიკული ნაბიჯის გადადგმა და უნდა ვეცადნეთ სხვა კუთხეებშიაც ამ მაგალითს მიმბაძველნი და ამყოლნი გავუჩინოთ. 20 ავგისტოს საღამოს რვა ნახევარ საათზე შეერთებული კრება ჰქონდა ქართველ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას და საადგილ-მამულო კომისიას. საგულისხმიერო აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, რომელსაც მიზნად ჰქონდა მოვლენილ განსაცდელის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა გამოძებნა, მიღებული იქმნა მთელი რიგი საყურადღებო დადგენილება, რომლის აღსრულებაში მოყვანა დაევალა თავად დ. ე. ჩოლოყაშვილს, როგორც თანამდებობის აღმასრულებელს გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშლისა და თავჯდომარეს ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისას, ქართველ საქველმოქმედო საზოგადოების თავჯდომარეს თავ. მ. ვ. მაჩაბელს, საადგილ-მამულო კომისიის თავჯდომარეს გ. ზ. ქურდიანს და ამ საზოგადოებათა მდივნებს.

ჩვენ იმედი გვაქვს რომ დასახელებული პირები აღიჭურვებიან დღევანდელი პასუხსაგებ დ განსაცდელით დატვირთულ მომენტის სრულის შეგნებით, და რომ ისინი უფრო ფართედ და ღრმად შეხედავენ ჩვენი ქვეყნის აწინდელ უნუგეშო მდგომარეობას და ენერგიულად შეუდგებიან დაკისრებულის შესრულებას.

ს. კ—დია.

*) ამ დღეების გაზეთ „საქართველოს“ №№-ში დაიბეჭდა საქვ. საზოგადოების სახელობაზედ საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან გამოგზავნილი წერილების ერთი ორი ნიმუში, სადაც სადად მაგრამ მწვავედ არის მოთხრობილი ქართული სოფლის გასაჭირი.

## მოსალოდნელ შიმშილობის გამო

წარსულ ხუთშაბათს, 20 ავგისტოს, მოსალოდნელ შიმშილობის გამო შემდგარ შეერთებულ კრებაზე არჩეულ ბიუროს წევრთ—მ. ვ. მაჩაბელს, გ. ზ. ქურდიანს, ვ. ი. რცხილაძეს, ა. თ. ფიფშიძეს და პ. დ. საყვარელიძეს—კრება ჰქონდათ 23 ავგისტოს. თავმჯდომარეობდა მ. ვ. მაჩაბელი. კრებამ თათბირი იქონია სასოფლო სამეურნეო თათბირის გამართვის შესახებ სამეგრელოში და დაადგინა: 1) დეპეშით შეეკითხონ ზუგდიდის შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობას, როდის მოახერხებენ თათბირის გამართვას, რომ იმ დროს მივიდნენ ზუგდიდში ქართულ სასოფლო სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებათა წარმომადგენლები; 2) ხსენებულ თათბირზე დასასწრებლად გაიგზავნონ ზუგდიდს აგრონომი ე. ვ. კარბელაშვილი და ერთ-ერთი წევრი ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობისა; 3) გამოწვეულ იქმნას გომის, ზემო ქართლის მემამულეთა სინდიკატის გამგე თავ. ვ. ე. ბაგრატიონ-დავითიშვილი საერთოდ საქართველოსათვის სათესლე და საკვებ მასალის შოვნის შესახებ მოსალაპარაკებლად; 4) წინადადება მიეცეს სოფლებს შეატყობინონ ბიუროს, რამდენი სჭირდებათ სათესლე და საკვები მასალა.

კრებამ შემდეგ მსჯელობა იქონია უმაღლეს მთავრობის წინაშე შუამდგომლობის აღძვრის შესახებ და დაადგინა, რომ შუამდგომლობა აღძრან ხალხის გამოსაკვებად საკმაო თანხის გადადების შესახებ სასოფლო სამეურნეო და საქველმოქმედო საზოგადოებამ ცალ-ცალკე. დასასრულ კრებამ ბიუროს თავმჯდომარედ აირჩია თავ. დ. ე. ჩოლოყაშვილი, ხოლო მის ამხანაგებად მ. ვ. მაჩაბელი და გ. ზ. ქურდიანი.

ბიუროსათვის ცნობის გამოგზავნა შეიძლება ანუ ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში, ანუ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებაში.

## ახალი ამბავი

კავკასიის ჯარის მთავარ-სარდალს, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს ჯილდოთ ებოძა წმ. გიორგის მესამე ხარისხის ორდენი.

✦ **ქართულ თეატრის აღსადგენად.** ახლად კურს დამთავრებულმა 121-მა ქართველმა პრაპორშჩიკმა ერთმანეთ შორის თათბირი გამართა, რომ დახმარება აღმოუჩინონ ქართულ თეატრის აღდგენას. იქვე გაიმართა ხელის მოწერა, რომლითაც შეგროვდა 600 მანეთამდე. ეს ფულები გადასცეს სათეატრო კომიტეტისათვის წარსადგენად პრაპორშჩიკს ბ-ნს ჩიქოვანს.

✦ **მევენახეების საყურადღებოდ.** ცნობილმა მითოლოგმა იაჩევსკიმ წელს წიგნაკი დაბეჭდა, რომელშიაც მევენახეებს ურჩევს, რადგან შაბიამანის შემოტანა საზღვარ გარეთიდან გაჭირდა და ვენახები უწამლოდ რჩება, შაბიამანის მაგიერ შეგიძლიათ ძილდიუს (ვაზის ობს) უწამლოთ, წყლის საშუალებით ერთი ერთი-მეორეში არეულ, დაუშლელი კირისა და გოგირდის სითხითო. ეს საშუალება გამოსცადა თბილისის გუბერნიაში მევენახეობის კომიტეტმა. იგი აცხადებს, რომ ცდას სასურველი შედეგი არ მოჰყაო. გარდა ამისა იმივე მილდიუს წინააღმდეგ, ეგრედ წოდებული, „ეკმენის“ სითხე უცდიათ დასავლეთ საქართველოში და, როგორც ქუთაისის მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი აცხადებს, ამ სითხესაც სარგებლობის ნაცვლად ვნება მოუტანია ვენახებისათვის.

✦ **საქართველოს ისტორიის გაკვეთილების გაუქმების გამო.** ჩვენი გაზეთის 76 ნომერში ახალ ამბად გამოცხადებული იყო საქართველოს ისტორიის გაუქმების შესახებ სათავად-აზნაურო გიმნაზიაში. საგანგებო გამოკითხვის შემდეგ აღმჩნდა, რომ ეს ამბავი სიმართლესაა მოკლებული.

✦ **გაჭირვების ნაყოფი.** ნამეტანმა გაჭირვებამ სოფლებში ხალხი ბოროტმოქმედებამდის მიიყვანა. როგორც ოზურგეთიდან გვატყობინებენ, 21 ავგისტოს ნატანებიდან ოზურგეთში მიმავალ ომნიბუსს შაიარაღებული კაცები დახვედრიან და გაჩერება დაუპირებიათ. მეეტლეს, გაჩერების ნაცვლად, ცხენები ძალზე გაურეკნია. მაშინ დამხდურებს დაუხლიათ თოფები და ერთი მგზავრი დაუჭრიათ და ერთი ცხენი მოუკლავთ. შემდეგ ამისა ერთი მგზავრისათვის თუთხმეტი თუმანი ფული წაურთმევიათ და გაქცეულან. პოლიცია გულმოდგინედ დაეძებს დამნაშავეთ, მაგრამ ჯერ ვერ აღმოუჩენია.

✦ **წარმოდგენა სოფლად.** 22 ავგისტოს სოფ. სართიჭალაში ადგილობრივ სცენისა და სამკითხველოს ფონდის გასაძლიერებლად, წარმოდგენა გაიმართა. წარმოადგინეს ივ. გომართლის პიესა „ქოხში“ და ივ. მაჩაბლისა „ადვოკატი მელაძე“. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხი ბლომად დაესწრო. საერთო შემოსავალი 1[illegible] [illegible] გლეხებსა სურვილი [illegible] კიდევ გაიმართოს წარმოდგენები.

✦ **ქართული გიმნაზია.** როგორც სარწმუნოდ გავიგეთ, ცნობილ ისტორიკოსს და არქეოლოგს თ. დ. ჟორდანიას იწვევენ ქართულ ისტორიის მასწავლებლად თბილისის ქართულ გიმნაზიაში. აქამდი ამ საგანს ასწავლიდა დ. გ. კარიჭაშვილი, რომელმაც ამ საგნის გაკვეთილები დასტოვა დროს უქონლობის გამო.

✦ **მომხმარებელ საზოგადოების „მეურნის“** გამგეობამ დაადგინა 23 ავგისტოს, რომ ამ დღეებში მოიწვიოს თბილისის ქართველი კომერსანტები და გააცნოს მათ ხსენებულ საზოგადოების მოქმედების მიზანი, რათა ამ წესით გამორკვეულ იქნას, თუ რა მონაწილეობას მიიღებენ ისინი საზოგადოების საქმეებში.

✦ **ქალაქის თავი** ა. ი. ხატისოვი დღეს დაბრუნდება ერევნიდან, საცა ის წასული იყო გამოქცეულ სომეხთა მდგომარეობის მოსაწესრიგებლად.

✦ **წინადადება.** ქალაქის ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა განცხადება მიართვა ქალაქის მოურავს, მოიწვიოს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრება, რომელსაც წინადადება წარედგინოს იმის შესახებ, რომ თბილისის ქალაქის თვითმართველობამ მხარი დაუჭიროს მოსკოვისა და სხვა ქალაქების რეზოლიუციას საიმპერიო საკითხების შესახებ აგრეთვე ამავე საბჭოს წარედგინოს წინადადება შესაწყნარებლად იმის შესახებ, რომ შუამდგომლობა აღიძრას, რათა თბილისში ქალაქებისა და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მეხუთე კრება იქნას მოწვეული, რომელმაც ღონისძიებანი უნდა გამოსძებნოს საზოგადოდ სურსათის სიძვირის წინააღმდეგ, გადმოხვეწილთა ყოფაცხოვრების მოსაწესრიგებლად რეზოლიუცია შეიმუშაოს და საზოგადოდ ეხლანდელ გაჭირვებულ ცხოვრებას რაიმე წამალი მოუპოვოს.

✦ **თბილისის გუბერნატორმა** აცნობა ქალაქის გამგეობას, რომ მე თანახმა ვარ, ქალაქის საბჭოს დადგენილების თანახმად, ეხლავე აღძრათ შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რათა ვარშავის პოლიტეხნიკუმი დროებით გადმოტანილ იქმნას თბილისშიო.

✦ **საამხანაგო ფურნე** ბათომში. ბარცხანაში, გაიხსნა საამხანაგო ფურნე. ხალხი ძალიან მადლიერია, რადგან უცხოელი მეფურნეები ხალხს ატყავებდნენ.

✦ **დღეობის მოსპობა.** სოფ. ბახვის (გურია) მცხოვრებლებმა გადასწყვიტეს, ღვთისმშობლობის დღეობა მოსპონ. არავის ნება არ აქვს, იმ დღეს სტუმრები მიიწვიოს.

✦ **ხარფუხის კლუბში.** 22 ავგისტოს ხარფუხის კლუბში ქართულ ენაზე ორი ოპერეტკა წარმოადგინეს—„მეჯლისი იტალიელებით“ და „ქორწინების წინ“. მონაწილეობას ღებულობდნენ ქ-ნი ტასო აბაშიძე, გ. გედევანიშვილი, ა. იმედაშვილი, დ. მგალობლიშვილი და სხ. წარმოდგენას დიდძალი ხალხი დაესწრო. 23 ავგისტოს იქვე წარმოდგენილ იქმნა ალ. ყაზბეგის პიესა „არსენა“. მონაწილეობას ღებულობდნენ ტასო აბაშიძე, ვ. გუნია, ბ-ნი გედევანიშვილი და სხ. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა და ხალხიც ბლომად დაესწრო.

✦ **გადამდები სენი.** 24 ავგისტოს ქალაქის თავშესაფარში იმყოფებოდნენ: ქუნთრუშიანი 31, ხუნაგიანი 11, ყვავილიანი 1, მუცელაიანი 3, საოფლიანი 20 და შავი სახადიანი 42 კაცი.

✦ **ხოლერა.** 22 და 23 ავგისტოს ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანეს ხოლერიანი 16 და ხოლერის ნიშნებით 11 კაცი. გარდაიცვალა 9 კაცი. გუშინ საავადმყოფოში იმყოფებნონენ ხოლერის ნიშნებით 13 და ხოლერიანი 96 კაცი.

✦ **გადმოხვეწილთა გაგზავნა.** კავკასიის მთავრობამ გადასწყვიტა, თბილისიდან გადაასახლოს რკინის გზის სადგურ დალიარში ყველა გადმოხვეწილი სომხები. გადაწყვეტილება მიღებულია ხოლერისა და სხვა გადამდებ სენის გავრცელების წინააღმდეგ.

✦ **სურსათი.** 23 ავგისტოს თბილისში მოტანილი იყო: ფქვილი 18 ვაგ., ქვავი 1 ვაგ., შაქარი 2 ვაგ., მარილი 2 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ხილი 2 ვაგ., საზამთრო 4 ვაგ., ბზე 1 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., ნახერხი 6 ვაგ., ახალი თევზი 410 ფუთი.

✦ **დაჭრილი ჯარისკაცნი.** თბილისში ჩამოიყვანეს და სხვა და სხვა ლაზარეთებში მოათავსეს შემდეგი დაჭრილი

ქართველი ჯარისკაცნი: ჭავჭავაძე ივანე კირილეს ძე, ჭანუყვაძე სერგო სიმონის ძე, სვანიძე გიორგი კონიას ძე, ზარდალიშვილი ივანე, ნოზაძე დათა სპირიდონის ძე, მეგრელიშვილი სიმონ ივანეს ძე, გელაშვილი ისიდორე პავლეს ძე.

**შეცდომის გასწორება.** „საქართველოს № 76 შემდეგი კორექტორული შეცდომაა მგზავრის დღიურიდან „ზედაზენი“: 1) სწერია 45 ბერი. უნდა იყოს 4—5 ბერი. 2) „მის სიბერის და დაუძლურების გამო წინამძღვრად მამა თონაა“, უნდა იყოს—იოანეა.

---

ბაზართან და რკინის გზასთან მახლობლად მცხოვრებნი იმითი მაინც ნუგეშობენ, რომ ძალლონეს ჰყიდიან, საქირაოდ გააქვთ ძალლონე, ანუ სანოვაგეს ჰყიდიან მგზავრებზე. ეს ერთგვარი განწირულება ერთგვარსავე შეღავათს აძლევდა მათ, რომ ქვეყნისა და ოჯახისათვის რაოდენადმე პასუხი გაეცათ. უნდა ნახოთ, რა ცილაობაა სადგურებზე, როგორ ჩალის ფასად ჰყიდიან ყოვლისფერს მაშინ, როდესაც ქვეყანას ცეცხლი უკიდია. მაგრამ ეს არაა საკითხი. საქმე ისაა, რომ ეხლა, როგორც კორესპონდენტები იუწყებიან, სოფლებისთვის განკარგულება დაუგზავნიათ, სადგურებზე ნუ გამოქავთ ხილეულობა, ავადმყოფობას გაავრცელებთო. გადასახადებს რითი გავუძლვეთ?—როცა ეკითხებიან, პასუხად ცივი ბრძანება გაისმის, ეს ჩვენ არ შეგვეხება, თავში ქვა იხალეთ და ისე გაუძეხით ყოვლისფერსაო.

სოფელი

ძარცვა-გლეჯის სარბიელად

ეხლა რა იქნება, ესეც ადვილი წარმოსადგენია. ჩარჩები, განსაკუთრებით ებრაელობა, მოსდებიან, მაგალითად, ქართლის სოფლებს და თითქმის მთლად შეუსყიდიათ ხორბალი, კომბოსტო, ერთი სიტყვით, მთელი ქართლის სიმდიდრე. მერე რა ფასებში?—სწორედ ისევე, როგორც ადამის ჟამს ყიდულობდნენ, მუქთად... ფუთი კომბოსტო ორი აბაზი. დაკვეთილი პური კოდი 3 მან. ხშირად ნაკლებადაც. ცხენის ყელზე შეგდებული ჩვენი უკაცო სოფელი ყოვლისფერს ჩალის ფასად ჰყიდის, პირდაპირა ჰყრის. უბედურობა ის არის, ზოგან თვლაც არც კი იციან. ყოფილა მაგალითები, როცა ფასი კარგი შეუძლევიათ, ხოლო გამყიდველთ არ სცოდნიათ, მართლა იმდენი მისცეს თუ ნაკლები. ღმერთი იყოს მკითხველიო, იტყვიან ტრადიციულად და ამით თავდება ვაჭრობა. ასე დაცემის გზას დაადგა სოფელი, ასეთი სილატაკე და უვიცობაა. კვნესა მისი, ყრუ გმინვა ჩვენ, მართალია, დაშორების გამოისად არ გვესმის, მაგრამ მოგეხსენებათ, ყოველისფერს აქვს თავისი საზღვარი.

ქართლელი.

---

# შეკითხვა

**დაპატიმრებულ პოლონელთა შესახებ სახ. სათათბიროში.**

18 აგვისტოს სახ. სათათბიროში გაირჩა შრომის ჯგუფისა და სოც.-დემოკ. ფრაქციის მიერ შეტანილი შეკითხვა შესახებ პოლონელთა დაპატიმრებისა. პეტ. დეპეშათა სააგენტოს ანგარიში ამ სხდომისა მეტად მოკლედ გადმოგვცა, ამიტომ ვბეჭდავთ მას უფრო დაწვრილებით, როგორც გაზეთ „რეჩ“-შია დაბეჭდილი,

**სიტყვა კერენსკისა**

ერთი წლის ომმა პოლონელებს დიდი უბედურება დაატეხა. საფიქრებელი იყო რომ ამის გამო რუსეთის მთავრობა მეტის სიფრთხილითა და სიყვარულით მოექცეოდა მრავალტანჯულ ერს. მაგრამ მას უდიდეს ეროვნულ ხიფათის დროსაც კი არ შეუძლიან ხელი აიღოს მართვა-გამგეობის თავისებურ სისტემაზე. როცა ამ კათედრიდან რუსეთის მთავრობამ გამოაცხადა პოლონეთის ავტონომია, როცა საფიქრებელი იყო რომ შეიძლება განხორციელებულიყო ერთი ნაწილი მაინც პოლონელთა სურვილისა, რომელთაც ოცნებად ჰქონდათ აღდგენა თავისუფალ და დამოუკიდებელ პოლონეთისა,—სწორედ ამ დროს, პოლონეთიდან რუსის ჯარის დახევისას, რუსეთის მთავრობამ ყველაფერი ჩაიდინა, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაემსხვრია პოლონელთა ყოველნაირი იმედი. ეს იყო ნამდვილი პაროქსიზმი მთავრობისა, რომელსაც შიშის ზარი დაეცა. ხელთა მაქვს ყოვლად შეუძლებელი და დაუჯერებელი საბუთები. მაგალითად, ქუჩაში იჭერენ და ციხეში გზავნიან ფოსტის მოხელეს მხოლოდ იმისთვის, რომ მას ზედ არ ჰქონდა პასპორტი. დაიჭირეს და წამოიყვანეს წევრი ვარშავის საპყრობილის პატრონატისა—ადამიანი ფრიად პატივცემული და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. პეტროგრადში ამოიყვანეს დოქტორები ფილოსოფიისა, მასწავლებლები, ექიმები, ინჟენერები; წამოიყვანეს წვრილშვილის პატრონი დედები და—ამაზე საშინელი რაღა იქნება!—წამოიყვანეს ათობითა და ასობით მცირეწლოვანი ქალი და ვაჟი, რომელთაც ბრალსა სდებენ, ვითომ ისინი რუსეთის წინააღმდეგ იბრძოდნენ თავისუფალ პოლონეთის აღსადგენად. პეტროგრადში, ქალთა საპყრობილეში დამწყვდეულია ასზე მეტი დედაკაცი, რომელთა შორის მხოლოდ ექვსს წარუდგინეს ფორმალი ბრალდება. დანარჩენები სხედან უმიზეზოდ, სხედან და არ იციან, რისთვის და რად იტანჯებიან. როცა მთელი პოლონეთი აღელდა და მისი წარმომადგენლები შეეკითხნენ მოსკოვში მყოფ ვარშაველ პროკურორს, რომელიც ხელმძღვანელობას უწევდა დაპატიმრების საქმეს, მან განაცხადა: „საქმენი პატიმართა შესახებ ინახება დაბეჭდილ ყუთებში. სად არის ეს ყუთები—არ ვიცი; სანამ ამ საქმეებს მივიღებდეთ ყველანი ისევ უნდა ისხდნენ. ერთი მითხარით, რანაირია ის სახელმწიფო, ის სამართალი, რომელიც ცოცხალ ადამიანსა და მის სულს ანაცვალებს დაბეჭდილ ყუთებსა და მკვდარ ქაღალდს, ისიც ასეთ გამწვავებულ დროს? ასეთი საქციელი სამარცხვინოა; იგი არცხვენს ჩვენს სახელს, ჩვენს კულტურას, ჩვენს სახელმწიფოს; იგი ხელსაყრელი მასალა და საბუთია იმათ ხელში, ვისაც უნდა ჩვენს წინააღმდეგ აგიტაციის გაწევა, დამცირება რუსის ხალხისა და საზოგადოებისა, რომელსაც ბრალი არ უდევს იმაში, რასაც სჩადის მთავრობა. თქვენ მოვალენი ხართ ეხლავე პასუხი მოსთხოვოთ მთავრობას და ჰკითხოთ: როგორ მოხდა, რომ პოლონელებზე ნახმარი ძალადობა მთავრობამ მაშინვე არ გააბათილა? თქვენვე წარმოიდგინეთ, რა შთაბეჭდილებას ახდენს ასეთი ამბები პოლონელ ახალგაზდობაზე რომლის სული და გული გახსნილია ყოველნაირ სიკეთისა და მშვენიერისათვის, და რომელიც ჩვენი ხნოვანების ხალხზე უფრო ღრმად გრძნობს და იბეჭდავს გულზე ყოველ შეურაცხყოფას! თავისუფალ პოლონეთის დაბადებისა, ორი თავისუფალ დემოკრატიის მომავალ კავშირისა და თავისუფალ რუსეთის აღდგენის სახელით ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ წინააღმდეგ პოლონეთის ხალხის დამცირებისა და მოვითხოვთ სასტიკ ბრძოლას წინააღმდეგ მთავრობის არასახელმწიფოებრივ მოქმედებისა.

**სიტყვა გარუსევიჩისა.**

პოლონელთა სახელით ლაპარაკობს გარუსევიჩი.

— ვარშავა ჯერ კიდევ რუსების ხელში იყო როცა გავიგეთ, რომ ვარშავასა და პოლონეთის დაბა-ქალაქებში აუარებელი ხალხი დააპატიმრეს და რუსეთის შუაგულში გამოგზავნეს. ჩვენ ათობითა და ასობით მოგვივიდა ცნობა შესახებ იმისა, რომ დაპატიმრებულნი ჯერაც დაუკითხავნი არიან და მათთვის ბრალდებაც არ წარუდგენიათ. მე და ჩემმა ამხანაგებმა მაშინვე გამოვიძიეთ ეს აღმაშფოთებელი ამბები. აღმოჩნდა, რომ ყველაფერი მართალი ყოფილა. დავრწმუნდით თავზარდაცემულნი, რომ პატიმართა შორის ძალიან ბევრია 14—15 წლისა. ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი საბუთს გვაძლევს ვთქვათ, რომ ეს საქმე მოგვარებულ იქნება.

ამ ჟამად ბევრი ლაპარაკი არ მინდა. დაგისახელებთ მხოლოდ 2—3 ჩვეულებრივ მაგალითს. ვარშავის ორი კერძო სკოლის 22 მოწაფე სასეირნოდ გავიდა ქალაქ გარედ. ეს მოხდა 25 აპრილს. მაშინვე ყველანი დაიჭირეს, გაჩხრიკეს და მხოლოდ ერთს უპოვეს სია მოსეირნეთა. ყველანი ვილნოში გაგზავნეს, მერე ხარკოვის საპატიმროში გადაიყვანეს. ოთხ თვეში მთავრობამ ეს საქმე ვერ გაათავა. მეორე მაგალითი: ერთ ექიმისაგან ასეთი წერილი მომივიდა საპატიმროდან: „ვარშავაში დამიჭირეს „ოხრანკას“ ბრძანებით. გამჩხრიკეს, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინეს. ამოდენა ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დამკითხეს, ერთხელაც არ მითხრეს—რას მაბრალებენ. მე წევრი ვარ ლეგალ პარტიისა, რომელიც ცხადი მტერია გერმანელებისა. ჩემთან ერთად მრავალნი სხედან და არც იმათ იციან მიზეზი დაპატიმრებისა“. მესამე მაგალითი: ვარშავაში დააპატიმრეს პატრონი „პოლონიას“ სასტუმროსი. მერე ისევ გაანთავისუფლეს. მიზეზი დაპატიმრებისა არ უთხრეს. ცოტა ხნის შემდეგ მან უვარგისობისა გამო დაითხოვა სასტუმროს კარისკაცი, რომელიც „ოხრანკის“ აგენტი გამოდგა. პატრონი ისევ დააპატიმრეს და დააბრალეს: სამხედრო მზვერავს ხელს უშლიდიო. ვარშავის გენერალ-გუბერნატორის განჩინებით იგი ტომსკის გუბერნიაში უნდა გადაესახლებინათ, მაგრამ საქმე შეაჩერეს იმ დრომდე, სანამ ახალ საბუთებს აღმოაჩენდნენ. ახალი აქამდე ვერაფერი იპოვეს და პატიმარი პეტროგრადში გადმოიყვანეს, ხოლო მისი ოჯახი დღესაც დადის და ვერ გაუგია, რომელ საპატიმროშია მისი მარჩენალი. მე დარწმუნებული ვარ რომ მთავრობას შეუძლიან გაათავოს ასეთი--ფრთხილად რომ ვსთქვა—ხეპრული და პოლიტიკურად უტაქტო შემთხვევა. ეს კიდევ არაფერი. ამ კაცის დაპატიმრების მიზეზი ადვილად გამოირკვეოდა, მთავრობამ რომ ყოველმხრივი რევიზია მოუხდინოს ვარშავის „ოხრანკას“.

**სიტყვა როდიჩევისა.**

— ყოველი ჩვენგანი გულის ტკივილით ისმენს აქ მოთხრობილ ამბებს. მგონი ცა და ქვეყანა უფრო ადვილად შეიცვლება, ვიდრე „ოხრანკას“ წესრიგი.

მერე რა დროს იმეორებს მთავრობა თავის პოლიტიკას ძალადობისას, უსამართლობისას და მოქალაქის უფლებრივ გრძნობის შელახვისას! ეს ხდება იმ დროს, როცა ჩვენ ყველანი ვცდილობთ აღვზარდოთ ის გრძნობა ერთობისა, რომელიც უმთავრესი იარაღია გამარჯვებისა. თუ დავიჯერეთ და ვთქვით, რომ მთავრობის მოქმედებაში არის განზრახვა და შეგნება მაშინ ისიც უნდა ვთქვათ, რომ მთავრობამ რუსეთს უღალატა. ერთადერთი განმარტება ამ ფაქტებისა გახლავთ უკიდურესი შეუგნებლობა. არ შეიძლება მთავრობამ არ იცოდეს, რომ ესოდენი დაპატიმრება საშინელებაა. მერე რატომ არ ანთავისუფლებენ ამ პატიმრებს? შინაურ საქმეთა მინისტრის თანაშემწე ამბობს: მომიტანეთ ბარათი გენერალ-გუბერნატორისა და ყველას გამოვუშვებო, ხოლო გენერალ-გუბერნატორი უპასუხებს: ეს ჩემი საქმე არ არისო; პატიმრები კი სხედან და ელიან. ეს შესისხლხორცებული გულგრილობაა ადამიანის ბედისადმი! კანონით „ოხრანკას“ უფლება აქვს მხოლოდ ორის კვირით დაპატიმრებისა, ნამდვილად კი ამოდენა ხალხი რამდენიმე თვეა საპყრობილეში უცდის თავის ბედიღბალს. რა საჭიროა გასამართლება ხალხისა იმის გულისთვის, რომ ეს ხალხი ოცნებობს პოლონეთის თავისუფლებას და მღერის პოლონურ ჰიმნს? მთავრობამ გამოაცხადა პოლონეთის ავტონომია და ამით მოითხოვა დავიწყება წარსულისა, რომელიც სავსეა მწარე და სამარცხვინო მოგონებით. მაგრამ ერთსა და იმავე დროს ავტონომიის გამოცხადება და პოლონელთა ტანჯვა-დამცირება—განა საკადრისია მთავრობისთვის ასეთი ყოფაქცევა, განა ასე შეიძლებმ მოპოვება სიტყვისა და დაპირებისადმი ნდობისა! ეხლა ისეთი დრო არის, რომ უწინარეს ყოვლისა რუსეთის მთავრობის სიტყვა და დაპირება შესრულებული და პატიოსანი უნდა იყოს (ტაში მარჯხნივ). ჩვენ გვინდა პატიოსანი მთავრობა. მისი სიტყვა და საქმე ერთი უნდა იყოს. ჩვენ უნდა გვქონდეს უფლება ჩვენს მოკავშირეთა და მთელს ქვეყანას პირნათლად გავუსწოროთ თვალი და ვუთხრათ: რუსეთის მთავრობა პატიოსანია! მთავრობა რომ პოლონეთს ავტონომიას დაჰპირდა, იგი ამით დაადგა ახალ გზას, გზას უფლებისა და თავისუფლებისას. რას მიუტანთ პოლონეთს როცა დაბრუნდებით? თქვენ მიუტანთ იმის გაგონებას, რომ იმ დროს, როცა მტერი წინ მოიწევდა, თქვენ იჭერდით ამ ხალხს და გზავნიდით რუსეთში, სადაც სხედან უსამართლოდ და უბრალოდ. უნდა გამოვტყდე: მრცხვენოდა ამ კათედრაზე ამოსვლა და ამ საგანზე ლაპარაკი. მე მაინც იმედი მქონდა, რომ მთავრობა საქმეს სალაპარაკოდ არ გახდიდა, მწამდა რომ იგი მოვიდოდა და გვეტყოდა: „ბატონებო, ჩვენვე ვნანობთ, რომ საქმე ასე დატრიალდა. მოვრჩეთ და გავათავოთ!“ მაგრამ აქ მისი წარმომადგენელიც არ არის. მთავრობა ვერ მიხვდა, რომ იგი აქ უნდა მოსულიყო და თან მოეტანა პოლიტიკურ დანაშაულობის დავიწყება, რომელიც მარტო პოლონეთისთვის კი არ არის საჭირო, არამედ მთელი რუსეთისთვის (ტაში მარცხნივ). ეს არის მათი უბედურება. სანამ ისინი არ მოვლენ აქ და ასეთს სიტყვებს არ მოიტანენ, იმ დრომდე ზნეობრივ სისუსტისაგან ვერ განიკურნებიან, იმ დრომდე ვერ შეიძენენ ავტორიტეტსა და ნდობას ჩვენსა, ევროპასა და მთელს ქვეყანაში. (მარცხნივ ყვირიან: „მართალია“!). რუსეთსა და პოლონეთშიაც ყველას არ შეუძლიან მთავრობას მხარი დაუჭიროს. არიან ასეთები, რომელნიც ამბობენ: „განა შეიძლება მაგას ენდო? განა მოისპო ის ტყუილი, რომელმაც რუსეთი დაღუპვის უფსკრულს მიაყენა? განა ყოველ წუთს არა სჩანს ტყუილი, შაბორკვა და პროვოკაცია? მერე ჩვენ, რომელთაც არ გვინდა მთავრობის დამხობა და ხელის შეშლა სახელმწიფოს დაცვის საქმეში, რა პასუხი უნდა მივცეთ ამ ხალხს? რა უნდა ვუთხრათ მათ გარდა იმისა, რომ მათ არა იციან რასა იქმოდენ. რაზეა დამყარებული ჩვენი რწმენა? მხოლოდ სიტყვებზე, ხოლო საქმენი ამ რწმენას აბათილებენ. ჩვენ მოვალენი ვართ ვუთხრათ მთავრობას: თუ თქვენ გესმით მოვალეობა სინიდისისა წინაშე პოლონეთისა და რუსის ხალხისა, თუ არსებობს რაღაც გარდუვალი დაბრკოლება, რომელიც ნებას არ გაძლევთ აღასრულოთ თქვენი მდგომარეობა წინაშე ციხეში დამწყვდეულ პოლონელთა და არა პოლონელთა, ან გადალახეთ ეგ დაბრკოლება, ან გადასდექით. პასუხისმგებლობა მინისტრებისა ჩვენს კანონებში, არა სწერია, სამაგიეროდ იგი ჩაწერილია ადამიანის სინიდისის კანონებში და თვითეულ [illegible] კანონს სახელმწიფოთა და მთავრობათა არსებობისას. და თუ თქვენ იძულებული ხართ ხებსით თუ უნებლიედ დაარღვიოთ ეს კანონი, მოიშორეთ ის ტვირთი, რომელიც თქვენს სუსტ ბეჭებს ვერ უტარებია (ტაში მარცხნივ). დროა გვაგრძნობინოთ, რომ რუსეთს სათავეში პატიოსანი ხალხი უდგა. დაამტკიცეთ ეს თუნდ ერთის წუთით-ჟამსა თქვენის წასვლისასა. დააყენეთ რუსეთი ხალხის გაერთიანების გზაზე, ხოლო თუ ესეც ვერ მოგიხერხებიათ—განზე განზე გადექით!

**გრაფ ბობრინსკის განცხადება.**

— იმედი მაქვს, რომ სახ. სათათბირო ერთხმად მიიღებს ამ შეკითხვას. სავსებით ვეთანხმები გარუსევიჩის სურვილს: რომ ყველა, ვისაც კანონიერი ბრალდება ვერ წარუდგინეს, უნდა გაანთავისუფლონ, და ვარშავის „ოხრანკასაც“ რევიზია მოუხდინონ. ამას კიდევ ერთი სურვილი უნდა დავუმატო: უნდა მოისპოს საქმე შესახებ იმ პოლონურ გაზეთებისა, რომელთაც ბრალდებოდათ ავსტრიის მომხრეობა, ვინაიდგან ასეთ დროს ასეთი საქმე ჩირად არა ღირს (შუაში და მარცხნივ ტაში).

ზემოაღნიშნული შეკითხვა სახ. სათათბირომ ერთხმად მიიღო.

* * *

დღეს ბრძოლის ველზედ მივდივარ,
თან მომდევს სული სალია,
არად მივიმჩნევ თუნდ ტყვიით
გულზე დამასვან დაღია.
მსურს მეცა ვნახო გმირები,
თავგანწირულნი—ობლები,
ვაცნობო ყველას თუ როგორ
მოსთქვამენ მათი მშობლები.
მშვიდობით სატრფოვ, მშვიდობით
იმედო მუდამ ჭირშია,
უნდა წავიდე, ხომ იცი
სამშობლო გასაჭირშია!
დე, მტერმა ბოლო მომიღოს
ტყვიამ დაფლითოს გულია,
მკვდარსაც ჩამყობა საფლავში
სამშობლოს სიყვარულია.
დამლოცე სატრფო, სიცოცხლევ,
რომ გავიმარჯვო ველზედა,
თუ დაგიბრუნდით, იცოდეთ,
გადაგეხვიო—ყელზედა.

ალ. კლიმიაშვილი.

---

# ჩრდილოეთ კავკასიის სამკურნალო წყლები

— სახურავებზეც არ იქნება დასატევი ადგილი, არა თუ სახლებში, გაიძახოდენ სეზონის დასაწყისში და გულის ფანცქალით ელოდენ მოაგარაკეთა მოზღვავებას—წყლების მთავრობა, სახლის პატრონნი, ექიმნი, მოიჯარადრენი და სხვა.

არ გამართლდა ოცნება—თითქმის მარტო პატრიოტული გრძნობა იყოს საკმაო მოაგარაკეთათვის სამშობლო კურორტებისკენ მოსაშურებლად...

უმთავრესად, ცუდ სეზონს, ხელი შეუწყო: ომმა, გამუდმებულმა მაისის ავდრებმა და ჩვენი აგარაკების მოუწყობლობამ—სიბინძურემ, კანალიზაციის, ტრამვაის, ბალნეოლოგიური ინსტიტუტის და სხვათა უქონლობამ—რაც ევროპის კურორტებზე მოძველებულად ითვლებოდა.

გემოვნება გაფაქიზებული მოაგარაკეც ომის გათავებას უცდის და გასწევს იქ—სადაც ნაკლებს დახარჯავს და მეტს მისცემენ.

ბიუროკრატია (წყლების პატრონი) აქაც ისეთივე უძლური გამოდგა, როგორც სხვა საქმეში.

ივლისში და აგვისტოში ცოტა გამოცოცხლდა კურორტები გამოქცეულ პოლონეთ-ლიტვა-უკრაინა და სხვათა წყალობით და ებრაელთა კურორტებზე ცხოვრების ნება დართვით. რუსეთიდან, წელს ბევრი გამოჩენილი მწერალი, მსახიობი და მომღერალი ეწვია ჩვენ კურორტებს. უკანასკნელ სამ წელიწადს ქართველი მოაგარაკესაც შეხვდებით აქა-იქ.

წელს საქიმოდ იყვნენ: ბ. ექვთიმე თაყაიშვილი, გრ. გველესიანი, ავ. აბესაძე, მგოსანი გრიშაშვილი და სხვა. ქართველობა ოთხივე კურორტზე ათას რიცხვს აღემატება, რომელთა უმეტესობა მოვაჭრე—მოსამსახურეს შეადგენს. ადგილობრივი, მუდმივი მცხოვრებნი ცოტაა და ისიც მთლად თუ არა, ნახევრად გადაგვარებული. საქართველოს სიყვარულის ცეცხლით ანთებული მოაგარაკე ნაღვლიანის თვალებით ეძებს თანამემამულეს, მის საქმიანობას, სულის მოძრაობას. გულის ტკივილით კითხულობდა ბ. ექვთიმე თაყაიშვილი—ამდენ ქართველობას რატომ არაფერი ეროვნული დაწესებულება გაქვთო და სამართლიანად აღნიშნავდა—არც ერთი საქართველოს მივარდნილი პროვინცია არ დარჩენილა, რომ თავის წვლილი არ გამოეღოს წყალ-წაღებულ, მგლოვიარე საქართველოსთვისო. გაწითლებასაც ხომ უნარი უნდა. ვისაც დედის სული გაუშვია და დედინაცვლის ნდობაც ვერ დაუმსახურებია, რა მოეთხოვება. უსირცხვილოს ათასი ელაპარაკო სირცხვილზე, შენ ენას ვერ გაიგებს.

ორი წლის წინეთ, როდესაც დევნილი, პიატიგორსკში გადმოსახლებული ეპისკოპოსი დავითი მიდიოდა აქედან, სწუხდა რომ ქართველებს რაიმე დაწესებულების გარშემო ვერ მოუყარა თავი და მიმართავდა ადგილობრივ მცხოვრებთ, ფარმაციის მაგისტრს, ივანე ტყეშელაშვილს, ეკისრა მას ეს მოვალეობა.

მას შემდეგ ორი წელი გადის და არა-[illegible] შიოწუხებია თავი, რომ სამკითხველო დაეარსებია მაინც.

ამ დღეებში, ჩემ თხოვნაზე—შევაგროვოთ ფული დაზარალებულ აჭარელთა სასარგებლოდ, აი რა მიპასუხა იმავ მაგისტრმა და ვიღაც თბილისელმა მოაგარაკე სხ—ძემ, სისუქნისაგან ძლივს ქშინავდა:—ბ-ნო, აჭარლებზე როგორ შეიძლება ხმა მაღლა ლაპარაკი, როდესაც მათ ცუდი თვალით უცქერიან, ან სამკითხველოზე—იტყვიან აქ საქართველოს აფუძნებენო...

აქ გამოდის მხოლოდ ორი გაზეთი, რუსული ასოებით, სომხების რედაქციით. დღე მუდამ ეს გაზეთები სომხების გმირობაზე და სომხის ხალხზე სწერენ, სტირიან მათ უმწეო მდგომარეობაზე და ქვეყანას შეღაღადებენ, დახმარებას სთხოვემ. მითხარი, ჩვენ რად უნდა ჩაგვეთვალოს დანაშაულად, რომ ჩვენ კავკასიაში, თუნდა რუსის ხალხს უთხრად ჩვენი ჭირი და ლხინი, ან ჩვენ შეჯგუფება, შეკავშირებაზედ ვიზრუნოთ?.. უბედურობა ისაა, რომ ქართველებზე არავის არა აქვს ხეირიანი წარმოდგენა. ყველას სომეხი ჰგონიხართ. არავის არავითარი ცნობა არა აქვს ქართველი ხალხის და მისი ეროვნული მისწრაფებისა როდესაც დაახლოვებით იციან პოლონეთის, ლიტვის, ლატიშების ებრაელების და თუნდა სომხების ტკივილებიც. ხშირად, მეტად გაკვირვებით გიპასუხებენ—რა უნდათ ქართველებს, ისინი ხომ არაფერში არ არიან შეზღუდული: პოლიციაში, სამხედრო სამსახურში და თვით უმაღლეს სფეროებშიაც გზა ხსნილი აქვსთო.—ამას გეტყვის როგორც ნიჟეგოროდის „მეშჩანინი“, ისე პეტროგრადის ინტელიგენტი ან მოსკოვის სტუდენტი და ნახევრად მოღიმარე თვალებით შემოგაჩერდება—ხომ მოგიჭერი, ხომ მთლად დაგაკმაყოფილეო. ბოლმა გაწვება, ენას აღარ უბრუნებ. მთელი „დუნია“ კავკასიას აწვება და იკვლევენ მის სიმდიდრეს.არა ერთიმორი ოცნებობს მის წიაღში გამდიდრებას, მხოლოდ ჩვენ ვართ გამოთიშული ამ კონცერტში. კურორტების დიასახლისად ექიმები ითვლებიან და აკი აწყდება ურიცხვი პროფესორი ექიმნი სამკურნალო წყვებს. უმეტესობა პოლონელებია; შემდეგ რუსები, სომხები და სხვა; მხოლოდ ვერ ნახავ ქართველ ექიმს წამლად. გაკვირვებას ხარ, რათ შეჯგუფებულა მარტო ქუთაისში და თბილისში ამდენი ქართველი ექიმნი. სრულებით საჭირო არ არის სასწაულს ახდენდეს ვინმე. ჩვეულებრივი მომაკვდავები ჩვენი თვალის წინ „გაიზარდენ“ ისე რომ სეზონში 20—25 ათას მანათს აკეთებენ.

არც მოექიმე საზოგადოება არჩევს ექიმს ეროვნული თვალსაზრისით. ან სად არიან ჩვენი მედიკები, რომელთაც ზაფხულობით შეეძლოთ საქმე გაეჩინათ: ზელა, კანქვეშ შეშხაპუნება და სხვ. კმარა კარჩაკეტილობა. კოხინჯრობა, მარიობა-ღვთიშობლობაზე სიარულს დროა თავი დავანებოთ და სხვათა საფეხურში ჩავებათ.

**მიხ. ჩ—ძე.**

## ცეპელინი ბელოსტოკში

ეხლა ბელოსტოკი მთლად არეულია. სადგური სავსეა ხალხით. ყველა გასახიზნად ემზადება. ყველა ცდილობს თავს უშველოს, მინამ გერმანელები აიღებენ ქალაქს. რკინის გზის სადგურის მოსამსახურენი ადამიანებს აღარა ჰგავნან დიდი შრომისაგან.

უცბად მთელი ქალაქი შეინძრა.

— რა იყო, რა მოხდა?!?

— ცეპელინი, გერმანელთა ცეპელინი,—დაიღრიალა ვიღამაც.

მთელი ქალაქი დაჩუმდა, გაინაბა.

საცა კი რაიმე სინათლე იყო ჩააქრეს და სარდაფებში მიიმალნენ.

მაგრამ ცეპელინს არ დასჭირდა ქალაქის ფარნების სინათლე. ჯერ პარაშიუტზე დაკიდული განათებული რგოლი ჩამოუშვა ქვეით და მთელი არემარე გაანათა. შემდეგ ჩამოუშვა მეორე, მესამე... არ[illegible] ეს [illegible]მარა და გამოაშუქა პროჟექტორი. ცეპელინი დაეძებდა რკინის გზის სადგურს და მალეც იპოვნა, რის შემდეგაც დაუწყო სროლა ზარბაზნებიდან. ისროდა ნაღმებს, ყუმბარებს, მერე არა ისე უბრალოდ, ქვეით, არამედ რაღაცა სპეციალ მანქანის საშუალებით. ცეპელინების ბატარეიამ დაიწყო ყუმბარების სროლა ისე, როგორადაც მიღებულია საარტილერიო ხელოვნებაში. ყუმბარების სროლა ნამეტანი ძლიერი იყო და ეფექტიანიც და [illegible] მიზანსაც აღწევდა.

საზოგადოდ—შენიშნავს რ. ს. კორესპონდენტი—ცეპელინი მეტად გამოსადეგი მნიშვნელოვანი გამოდგა დღევანდელ ომშიო.

### მაიორი მორატი და ომის პერსპექტივები.

ყველაზედ გავლენიანი და გავრცელებული გაზეთის „Berliner Tageblat“-ის ცნობილი სამხედრო მიმომხილველი, ბ-ნი მორატი სწერს ამ გაზეთის ფურცლებზე:

„ჩვენი მტრებიო, ამბობს იგი, წამუწუმ გაიძახიან გერმანია გამოიფიტა, გამოელია ძალი და ღონეო. ისინი ამტკიცებენ, გერმანია ვერ აიტანს ეროვნული ენერგიის ასეთ უკიდურეს დაჭიმვას, და მომავალში მას უთუოდ დამარცხება მოელისო, ჯარის კაცთა რეზერვისა და ნივთიერ საშუალებათა გამოლევის გამოო. ავიწყდებათ, დღევანდელ ომში ციფრითი სიდიდეს რომ ნაკლები მნიშვნელობა აქვს და რომ საყურადღებოა და გადამწყვეტი თითეული ჯარისკაცის ღირებულება და მთელი ჯარის სულიერი აღფრთოვანება და სიმტკიცე. მიუხედავათ იმისა რომ რუსეთს რვა მილიონი ჯარი ჰყავს და გამოულეველი რეზერვი, რომ ინგლისს შეუძლია უკიდურესს საშუალებას მიმართოს და შემოიღოს საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგარა, მიუხედავათ იმისა, რომ არც საფრანგეთი და არც იტალიაა მოკლებული საშუალებას მომქმედი ჯარის დანაკლისი შეავსოს სათადარიგო ჯარისკაცებით, მიუხედავად ყველა ამისა, გერმანიის შემუსვრა ყოვლად შეუძლებელია. ჩვენ უდრტვინველადა გვაქვს უთვალავი მსხვერპლი ომის ღმერთის სამსხვერპლოზე, რადგანაც ვიბრძვით ჩვენი თვითარსებობისათვის. სიამოვნებით და კმაყოფილებით შევსცქერით ჩვენს გამარჯვებას, რომელიც მით უფრო ძვირფასია, რაც უფრო მეტ მსხვერპლად გვიღირს, მაგრამ ნაადრევად დამათრობელ ლხინს როდი ვეძლევით. ჩვენგან დაფარულია ჩვენი ჯარის მაღალი სარდლობის გეგმა. სრულებით არა ვიცით-რა ომის შესახებ მთავარ შტაბს რა აქვს გადაწყვეტილი; მოსკოვსა და პეტროგრადზე გალაშქრება, თუ მტრის ცოცხალი ძალის შემუსვრა და განადგურება. ესენი არა ვიცით-რა მაგრამ ჩვენ სრულის ნდობით შევყურებთ მაღალ სარდლობას, მაგრამ ამასთანავე ჩვენ უნდა შევიტანოთ ფართე საზოგადოებრივ წრეებში ის შეგნება, რომ სამხედრო მიზნები მკაცრად უნდა შეეფერებოდეს პოლიტიკურ მიზნებს. ნაპოლეონის შეცდომას არ გავიმეორებთ და იარაღის ტრიალსა და ქღარუნს დაუსრულებლათ არ გავაბამთ რუსეთის უსაზღვრო სივრცეები, არც ცრუ თავმოყვარეობის გულისთვის გამოვაღებინებთ ზედმეტ მსხვერპლს ჩვენს სამშობლოსო.

## ჩვენი ცხოვრება

**ქ. გორი.** დასრულდა ექიმების მ. კობერიძისა და მ. წინამძღვრიშვილის ინციდენტის გრძელი ისტორია. სამედიატორო სასამართლომ, რომელშიაც ჩვენი მოღვაწენი იღებდნენ მონაწილეობას, დაადგინა: ა) მ. კობერიძემ მ. წინამძღვრიშვილის შეურაცხმყოფელი სიტყვა უკან წაიღოს და ბოდიში მოიხადოს, ბ) ექ. კობერიძის განზრახვა მ. წინამძღვრიშვილის მოქმედებით შეურაცხყოფის შესახებ, რაც თვით ბ. კობერიძემაც არ უარჰყო, სცნოს სამწუხაროდ და შეუფერებლად და გ) სასამართლომ აღიარა, რომ გორის ლაზარეთების უფროს ექიმის არჩევას, რომელმაც უმთავრესად გამოიწვია ინციდენტი, ტენდენციური ხასიათი ჰქონდა.

**სანგანიძე.**

---

**სოფ. იანეთი.** (ქვემო იმერეთი). კარგა ხანია რაც აქ რკინის გზის სადგურის შენებას შეუდგნენ. ამ სადგურს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც იანეთისთვის, ისე დიდი და პატარა ჯიხაიშისთვის. სადგურის ასაგები ხარჯის ერთი ნაწილი შეკრებილია, ხოლო მეორე ნაწილს ამ ახლო მომავალში აპირებენ შეკრებას ჯეჯერჯერობით[illegible] სადგურის აგების საქმემ ბევრი ვერაფერი შესძინა სოფელს. იანეთში ჯერაც არ იყიდება მატარებლის ბილეთები. თვით მატარებელიც სწრაფად მიდის, რის გამოც მგზავრები ვერ ასწრობენ შესხდომას...

ამასწინად იანეთისა და ჯიხაიშის გზაზე მოჰკლეს გამოჩენილი ყაჩაღი ჩ—ხეიძე. სროლის დროს მას თავის მხრით დაუჭრია მსროლელნი და ერთი მთავრობის მოხელეთაგანიც მოუკლავს, რისთვისაც მთავრობას ორთავე სოფლისთვის 1500 მანეთი შეუწერია. ისედაც გაწყალებულ სოფლებს ამ ფულის გადახდა, ადვილად წარმოსადგენია, რომ ლოდად დააწვებოდა.

**ი. იმერელი.**

---

**სოფ. ვაჩნაძიანი.** (კახეთი). ს. ვაჩნაძიანიც ერთი იმ ბინამოკლე სოფელთაგანია როგორიცაა თელავის სხვა მახლობელი სოფლები. მთელი მათი სამფლობელო მამულები თავადებისაგანაა გამოსყიდული, ამიტომ ძველთაგანვე კისერ მოგრეხილ გლეხკაცობას არსებულზედ მეტი მამულის შეძენა ვერ მოუხერხებიათ, ამიტომვეა, რომ სახნავი მამულების სიცოტავესთან არც თუ ვენახები აქვთ გაფართოვებული. როგორც გლეხის ალღოიანი და უზომო შრომის მქონე ხალხი, აქამდის გაუჭირვებლად მიდიოდნენ,

ზედ დაერთო წლევანდელი ვენახების წახდენაც. იმ მცირე სახნავებს, რასაც ესენი ჰფლობენ, მისი მომხვნელი მამაკაცებიც აღარ მოეძევებოდათ, რომ სრულიად დაეხნათ, ამიტომ ძალიან ნაკლები მოსავალი ჰქონდათ და რაც იყო ყანები, ისიც მხოლოდ მესამედის გამოსავლიანი. ცოტცოტა სიმინდის ნახნავებიცა აქვთ მაგრამ ეს დიდს იმედს არ წირმოადგენს ვინაიდან ეს ყველას არა აქვს.

მეტი წილი მცხოვრებთა დღესაც უკიდურესობამდის არიან მისულნი, რა იქნება შემდეგ, ეს ადვილი წარმოსადგენია. მოგეხსენებათ ამ სოფლის ბოლოში რკინის გზის სადგურია ვაჩნაძიანი, ამ სადგურზედ ყოველ სახალხო მატარებლის მოსვლის დროს ეს ღარიბი ხალხი ეზიდება გასაყიდად ახალ-ახალ სანოვაგეს, რის შოვნას ქალაქში მცხოვრებნი მოკლებულნი არიან. მაგრამ თურმე ოფლით მონაგრის გატანა ემძვირათ მყიდველებს. როგორც ხალხმა სთქვა, და თვით ამ სოფლის ნაცვალმაც დაამოწმა, ამ სადგურის უფროსს ჟანდარმი მოუწვევია და განუცხადებია,—რომ ზემოხსენებულ სანოვაგეს ძვირათა ჰყიდიანო, ამიტომ აღუკრძალოთ აღარაფერი მოიტანონ გასაყიდათ. ჟანდარმს არ დაუხანებია და მიუწერია მამასახლისისთვის უფროსის განკარგულება. სოფლის პარაზიტებსაც ეს უნდოდათ. მათ დაისაკუთრეს სოფელი და ბრძანებლობენ, რადგანაც ხმის გამცემი აღარავინ ეგულებათ, ამათთვის ეს მიწერილობა კმაროდა, რომ დარეოდნენ ხალხს... ყოველ სახალხო მატარებლის მოსვლის დროს, ამ სოფლის ნაცვალი სვიმონა ზარიძე, ნამდვილ ზარსა სცემს მთელს სოფელს. იგი მცველის დახმარებით, სადგურზე დაეცემა ხოლმე ხალხს, ჯოხით და წიხლით უფანტავს ყოველისფერს. 18 აგვისტოსაც გაიმეორეს თვისი ხელობა: დაილალეს ფეხშიშველა ბავშვები და დედაკაცები, რომელთაგან გაისმოდა სასოწარკვეთილი წყევლა და ლანძღვა: მაშ როგორ ვიცხოვროთ, თუ ამაების გაყიდვით მაინც არ ავიღეთ ორიოდე გროში, რომ შვილებს ლუკმა უყიდოთ? რით მოგცეთ ფოშტის ფული რისთვისაც ყოველდღეს შენგან მოსვენება არა გვაქვს? რა მივსცეთ მღვდელს ან ათასნაირ წვრილმან გადასახადს? თუ ჩვენი ხახვი, ნიორი და კვერცხები ჭირს გაავრცელებს ამიტომ გვიკრძალავთ გაყიდვას, მაშ სხვა საშუალება ალმოგვიჩინეთ! ამ სურათით შეწუხებულნი შევეკითხეთ ნაცვალ ბატონს: რათ უკრძალავთ ხალხს შინაური სანოვაგის გაყიდვას, ამისი ხომ ნება აქვთ და ყველგანა ვაჭრობენ როგორც კახეთის რკინის გზის ყველა სადგურებზედ. აგრეთვე სხვა, საქართველოს ყველა რკინის-გზის სადგურებზედ და მთელს რუსეთშიაც პირიქით მთავრობა ეხმარება ხალხს ბაზრები დაიარსონ, რომ სოფლის ღარიბ ხალხს ცხოვრების საშუალება მიეცეს. შემოგვებღვირა და მოგვაძახა: სტანციის ნაჩალიკმა და ჟანდარმა ბრძანება მომწერეს არაფერი გაყიდონო რომ ჭირი არ გაჩნდესო და მეც ბრძანებას ვასრულებ. მაგრამ მაგათ რა იციან, მაგათთვის სიკეთე მინდა, რომ სახლში აღარაფერს უშვებენ და რასაც მოახელებენ ყველაფერს აქეთ გასაყიდათ ეზიდებიან; ჩვენ კი, სტრაჟნიკი მოდის ან სხვა ვინმე მაშინაც ველარაფერსა ვშოულობთ, არა გვაქვსო იძახიან. ჩვენი დამცველი სტრაჟნიკისთვის ერთ ქათამსაც არ იმეტებენ და აი, აქ კი გასაყიდათ რამდენი რამ გამოუტანიათ! დაგვღუპა რკინის გზამ დაგვღუპაო მოგვაძახა ცოფმორეულივით, და გამოუდგა საცოდავებს რომელნიც თავპირის მტვრევით გაიქცნენ სადგურის ზევით ღობეებს ამოეფარნენ. არ ვიცი გაჭირვებამ მოუკრიფა მათ ძალა, თუ ხალხში ველარაფერს გაგვიბედავენო, მატარებლის მოსვლის დროს, მიუხედავად ამ ვაჟბატონების მუქარისა მოცვივდნენ თავპირის მტვრევით, რომ გაეყიდნათ ყველას თავისი ნაშრომი. ამ ამბავმა ნათლად დამანახვა, რომ ამ სოფლის კისერში ჩაკრულმა პარაზიტებმა სოფელში დრო ჩაიგდეს და მინამ დრო აქვთ თავის ნებაზედ იპარპაშონ. აქ მომაგონდა ერთი სოფლის სულთამხუთავის, ამხანაგებში კამპანიის დროს ნათქვამი ლექსი: დავეშურნეთ ხელი ავკრათ უმეცართა ქონებასა, ხელი ავკრათ... ვისარგებლოთ თორემ მოვლენ გონებასო! და ესენიცა სცდილობენ ისარგებლონ უმწეოთა სიცოცხლით, რაისაც იმედია ყურადღებას მიაქცევენ ისინი ვინც ჩაგრულთა მფარველობას ეწევიან.

**ყველგან მყოფი.**

## დეპეშები

**ლონდონი,** 22 აგვისტო. ვაშინგტონიდან ატყობინებენ რეიტერის სააგენტოს: თითქმის იმავე დროს, როდესაც კარდინალმა ჰიბსონმა ჩააბარა ვისიც ჯერ იყო პაპის ეპისტოლე მშვიდობიანობის ჩამოგდების შესახებ, მოვიდა ცნობა, რომ ჩრდილო-ამერიკის მთავრობას გერმანეთისგან უწყება მოსვლია, რომ ბერლინმა შეიწყნარა კიდეც წინადადება მშვიდობიანობის ჩამოგდებაზე მოლაპარაკების გამართვის შესახებაო.

**კვინსტოუნი,** 23 აგვისტო. ინგლისის საფოსტო გემი „გესპერიონი“, რომელზედაც 700-ზე მეტი მგზავრი იყო, დააზიანა წყალქვეშა ნავიდან გამოსროლილმა ნაღმმა. გემი არ ჩაძირულა. გადარჩენილი პასაჟირები შიშველ-ტიტველნი კვინსტოუნს მოვიდენ. ამავე დღეს ჩაძირულ იქმნა იალქნიანი გემი.

„ლოიდის“ ცნობით გემ „გესპერიონზე“ დარჩენილა კაპიტანი და 20 მეზღვაური. კვინსტოუნიდან მიეშველენ. იმედი აქვთ, რომ „გესპერიონს“ შემოათრევენ პორტში.

---

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

---

ს. გურჯაანში [illegible]ზად მომავალმა

# დავკარგე

# შავი პორტფელი,

რომელზედაც ვერცხლის ფირფიტაზე წარწერილია ჩემი სახელი. პორტფელში კი შემდეგი ნაწერები აწყვია: პიესა „გიჟუნია“, მოთხრობა „ტყვე“, მერეჟკოვსკის „ლეონარდო და-ვინჩი“-ს თარგმანი (პირველი წიგნის), ისტორიულ რომანის „ან[illegible] შ[illegible]ლები და სხვ. წვრილმანი [illegible] მოწმობები.

არავისათვის ეს ნაწერები და ნაშრომი გამოსადეგი არ არის, ჩემთვის კი ძვირფასია.

ამიტომ ვთხოვ **კახეთის სამამასახლისოებს** ყურადღება იქონიონ და ხალხს გამოუცხადონ, რომ მპოვნელი ჩემგან მადლობასთან ერთად შესაფერ ჯილდოსაც მიიღებს.

ნახული უნდა წარუდგინონ ს. ბაკურციხეში ექიმ ანდრონიკაშვილს.

**შალვა დადიანი.**

---

# საჭირონი არიან

**ორი ოსტატის ხელქვეითი და ერთი შეგირდი.** ვერის დაღმართი № 12, კონტორა „ელექტროტეხნიკი“. 1—1

---

## კახეთი[illegible] რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან . . . | 8 | ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. . | 8 | „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 8 | „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 10 | „ | 06 „ | „ |
| ივრიდან . . . . | 21 | „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან . . . | 11 | „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 | „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 2 | ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან . . . | 2 | „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან . . . | 4 | „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე . . | 4 | „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გურჯაანიდან . . . | 3 | ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 4 | „ | 33 „ | „ |
| თელავში . . . . | 5 | „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან . . | 8 | ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან . . . | 9 | „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან . . . | 10 | „ | 24 „ | „ |
| მელაანიდან . . . | 11 | „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან . . . | 12 | „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან . . . | 2 | „ | 80 „ | „ |
| ივრიდან . . . | 2 | „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან . . . | 3 | „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. . . | 4 | „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 | „ | 13 „ | „ |
| ბილისში , . . . | 5 | „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თელავიდან . . . | 8 | ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან . . . | 2 | „ | 58 „ | „ |
| გურჯაანში . . . | 10 | „ | 07 „ | „ |

---

## ამიერ-კავკასიის რ[illegible]ინის გზის მიმოსვლა

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან . . . | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან . . | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 | ბათომიდან. . | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან . | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან . | 7 ს. | 25 წ. | დილ. |
| | „ სააგარ. | 10 ს. | 28 წ. | სად. |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ . . | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ . . | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ . . | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| | ჯულფისკენ . | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

---

# თევზის მრეწველნი

# ძმ. ძეზველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

# განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ, მაილოვის-შვით**“, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა,** მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.